M. ÖZEL AND OTHERS v. TURKEY

მ. ოზელი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ

საჩივრები nos. 14350/05, 15245/05 და 16051/05

გადაწყვეტილება

17 ნოემბერი 2015

საბოლოო

02.05.2016

ფაქტები

1999 წლის აგვისტოში იზმიტს (თურქეთი) თავს დაატყდა მიწისძვრა. იმის გამო, რომ რეგიონი კლასიფიცირდება როგორც „ძირითადი რისკის ზონა“, მისთვის დაწესებულია სპეციალური შენობების მოთხოვნები. საქმეში *Özel v. Turkey* რვა მომჩივანი არიან იმ პირთა ნათესავები, რომლებიც დაიღუპნენ მათი ბინის ჩამონგრევის შედეგად. ექსპერტთა ანგარიშებით დადგინდა რამდენიმე სამშენებლო ხარვეზი, როგორიცაა ქვიშა და ზღვის ხრეშის გამოყენება, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ბეტონის სიმტკიცე და გაანადგურა რკინის სვეტები.

სისხლის სამართლის საქმისწარმოების შემდეგ, რომელიც 12 წელზე მეტხანს გაგრძელდა, ხუთი ეჭვმიტანილიდან ორი, რომლებიც მუშაობდნენ სამშენებლო კომპანიაში, დამნაშავედ იქნენ ცნობილნი. შუზღუდული ზიანის ანაზღაურების ბრძანება თავად კომპანიამ გასცა. ყოველგვარი ადმინისტრაციული უფლებამოსილების არარსებობის გამო, შეუძლებელი იყო სისხლის სამართლის საქმის აღძვრა საჯარო მოსამსახურეების წინააღმდეგ, რომლებიც ასევე სავარაუდოდ იზიარებდნენ პასუხისმგებლობას შენობის ჩამონგრევაზე.

დავა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე

კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე (სიცოცხლის უფლება) მომჩივნები დავობდნენ ნათესავების სიცოცხლის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით.

კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და მე-13 მუხლის (ეფექტური დაცვის უფლება) საფუძველზე ისინი ასევე დავობდნენ სისხლის სამართლის საქმისწარმოების სამართლიანობასთან, მის მის გადაჭარბებულ ხანგრძლივობასთან და ასევე ეფექტური საშუალებების ნაკლებობასთან დაკავშირებით.

1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე (საკუთრების დაცვა), მომჩივნები დავობდნენ, რომ ადგილი ჰქონდა მათ საკუთრების უფლებაში ჩარევას.

სამართალი

I. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

169. მომჩივნები დავობდნენ კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ, რომლის მიხედვითაც:

„1. ყველას სიცოცხლის უფლება დაცული უნდა იქნეს კანონით...“

სასამართლოს შეფასება

ა) ზოგადი პრინციპები

187. სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავასკვნათ, რომ კონვენციის მე-2 მუხლი შეიძლება ითვალისწინებდეს მომჩივნის უფლებას, რომ მესამე პირები ბრალდებულნი იყვნენ ან დაისაჯონ სისხლისსამართლებრივი დანაშაულისთვის (იხ. *Öneryıldız v. Turkey* ([GC],no. 48939/99,§§96, ECHR 2004-XII) ასევე, ის არ ითვალისწინებს აბსოლუტურ ვალდებულებას, რომ ყველა ბრალდებამ გამოიწვიოს მსჯავრდება ან კონკრეტული სასჯელი. მეორეს მხრივ, ეროვნულმა სასამართლოებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან, რომ სიცოცხლისათვის საშიში დანაშაულები დარჩეს დაუსჯელი. ეს აუცილებელია საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველსაყოფად და უკანონო ქმედებებთან მიმართებით ტოლერანტობის ნებისმიერი გამოვლენის ან შეთქმულების თავიდან ასაცილებლად (*Nencheva and Others v. Bulgaria*, no. 48609/06, § 116, 18 June 2013).

188. სტრასბურგის ხელისუფლება მოგვიანებით ხაზს უსვამს იმას, რომ მე-2 მუხლი ხელისუფლებისგან მოითხოვს ოფიციალური გამოძიების ჩატარებას სახიფათო საქმიანობის კონტექსტში, როდესაც რამდენიმე სიცოცხლე შეწყდა საჯარო ხელისუფლების პასუხისმგებლობით გამოწვეული მოვლენების შედეგად, რომლებიც ხშირად არიან ერთადერთი სუბიექტები, რომლებსაც აქვთ საკმარისი შესაბამისი ცოდნა იმ რთული ფენომენების იდენტიფიცირებისა და დადგენისათვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ასეთი ინციდენტები.

188. შემდგომში, სტრასბურგის სასამართლო ხაზს უსვამს იმას, რომ მე-2 მუხლი ხელისუფლებისგან მოითხოვს ოფიციალური გამოძიების ჩატარებას სახიფათო

საქმიანობის კონტექსტში, როდესაც სიცოცხლე დაიკარგა სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობით გამოწვეული მოვლენების შედეგად, რომლებიც ხშირად არიან ერთადერთი სუბიექტები რომლებსაც აქვთ საკმარისი შესაბამისი ცოდნა იმ რთული ფენომენების იდენტიფიცირებისა და დადგენისათვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ასეთი ინციდენტები (იხ. *Öneryıldız*, ციტირებული ზემოთ, § 93). ასეთი გამოძიების არსებითი მიზანია უზრუნველყოს ეროვნული კანონმდებლობის ეფექტური დაცვა და იმ საქმეებში სადაც ჩართულნი არიან სახელმწიფო მოხელეები ან ორგანოები, უზრუნველყოს მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი გარდაცვალებების ანგარიშვალდებულება (იხ. *Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom*, no. 46477/99, §§ 69 and 71, ECHR 2002-II, და *Mastromatteo v. Italy* [GC], no. 37703/97, § 89, ECHR 2002-VIII).

189. სტრასბურგის სასამართლო ასევე იმეორებს, რომ საშიში საქმიანობების შედეგად გამოწვეულ ინციდენტებზე სასამართლო რეაგირებასთან დაკავშირებით შემუშავებული პრინციპები ასევე ემსახურება კატასტროფის შემსუბუქების სფეროში გამოყენებას. როდესაც სიცოცხლე იკარგება იმ მოვლენების შედეგად რაც იწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას პოზიტიურ პრევენციულ ღონისძიებაზე, მე-2 მუხლის შესაბამისად სასამართლო სისტემამ უნდა უზრუნველყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებული სამსახურეობრივი გამოძიების პროცედურა, რომელიც დააკმაყოფილებს ეფექტურობის გარკვეულ მინიმალურ სტანდარტებს და შეუძლია უზრუნველყოს, რომ სისხლის სამართლის სასჯელი გამოიყენება იმდენად, რამდენადაც ეს გამართლებულია გამოძიების დასკვნებით (იხ. *Budayeva and others v Russia*, § 142). ასეთ შემთხვევებში, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა იმოქმედონ სამაგალითო გულმოდგინებითა და ოპერატიულობით და საკუთარი ინიციატივით უნდა დაიწყონ გამოძიება რომელსაც შეუძლია, პირველ რიგში, დაადგინოს ინციდენტის გარემოებები მარეგულირებელი სისტემის მუშაობაში არსებული ხარვეზები და მეორე, მოახდინოს სახელმწიფო მოხელეების ან ორგანოების იდენტიფიცირება, თუ რა მოცულობით არიან ისინი ჩართულნი მოვლენათა ჯაჭვში (იქვე, § 142).

190. გარდა ამისა, კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნები სცილდება ოფიციალური გამოძიების საფეხურს, როდესაც ეს იწვევს საქმისწარმოებას ეროვნულ სასამართლოებში: სასამართლო პროცესი მთლიანად, მათ შორის, პირველი ინსტანციის სასამართლოს ეტაპზე უნდა აკმაყოფილებდეს პოზიტიური ვალდებულების მოთხოვნებს, რომ დაცული იქნეს სიცოცხლე კანონის შესაბამისად (იხ. *Öneryıldız*, ციტირებული ზემოთ, § 95, *და*, *Budayeva* ციტირებული ზემოთ, § 143).

ბ) ამ პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

191. სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულება არ არის დამოკიდებული იმაზე, სახელმწიფოს ეკისრება თუ არა სადავო სიკვდილის შემთხვევებზე პასუხისმგებლობა (იხ. *Šilih v. Slovenia* [GC], no. 71463/01, § 156, 9 April 2009). მე-2 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვალდებულება ეფექტური გამოძიების ჩატარების თაობაზე გადაიქცა ცალკეულ და ავტონომიურ ვალდებულებად (იქვე, §159, and *G.N. and Others v. Italy*, no. 43134/05, § 83, 1 December 2009 და სხვა მასში მითითებული საქმეები).

192. წინამდებარე საქმეში, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმისწარმოება დაიწყო უძრავი ქონების დეველოპერების წინააღმდეგ, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ დანგრეულ შენობებზე ხოლო კონკრეტული პირები უშუალოდ მონაწილეობდნენ მათ მშენებლობაში. მან ასევე აღნიშნა, რომ სამართალწარმოება ეხებოდა 195 პირის სიკვდილს. საქმეები თავდაპირველად დაიყო სხვადასხვა საგამოძიებო ფაილებად, შემდგომში ისინი თანდათან გააერთიანეს და მოგვიანებიით კვლავ გაანცალკევეს. თუმცა, სადავო საქმისწარმოების სხვადასხვა წყებები წარმოიქმნა ერთიდაიგივე ფაქტების საფუძველზე, ანუ დანგრეულ შენობებში დეფექტების გამო, ამიტომ სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ერთი გამოძიების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა პროცესები გაერთიანდა ან გამოიყო.

193. სტრასბურგის სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მომჩივნებმა მონაწილეობა მიიღეს სისხლის სამართლის პროცესში და მოითხოვეს ჩართულოყვნენ მესამე პირებად. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმისწარმოება ხუთ ბრალდებულთან მიმართებით, რომელიც დაიწყო 1999 წლის 14 სექტემბერს და დასრულდა 2011 წლის 15 დეკემბერს, თითქმის 12 წლის შემდეგ, ბრალდებულთაგან მხოლოდ ორის მსჯავრდებით რომელთაგან ერთს, უფრო მეტიც, მიენიჭა სარჩელის ნაწილობრივი შეჩერების სარგებელი ხანდაზმულობის საფუძველზე. ორი ბრალდებულის ადგილმდებარეობა არ იყო ცნობილი ამ 12 წლიდან რამოდენიმე წლის განმავლობაში, რომელთაგან ერთ-ერთი იყო D.B., რომელიც ფაქტობრივად არასოდეს ყოფილა წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ორგანოების წინაშე ასე, რომ მისი მონაწილეობა გასაჩივრებულ ქმედებებში სასამართლოებმა ვერ შეაფასეს. გარდა ამისა, სამი ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ხანდაზმულობის გამო მანამ, სანამ სადავო ქმედებებზე მათთან მიმართებით რაიმე პასუხისმგებლობა დადგინდებოდა.

194. სტრასბურგის სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მხოლოდ დროის გასვლამ შეიძლება გამოძიების საზიანოდ იმუშაოს და საბოლოოდ ფატალურად შეაფერხოს მისი წარმატების შანსები (იხ. *M.B. v. Romania*,

no. 43982/06, § 64, 3 November 2011). იგი ასევე ხაზს უსვამს იმას, რომ დროთა განმავლობაში აუცილებლად გაანადგურებს არსებული მტკიცებულებების რაოდენობას და ხარისხს, ხოლო გულმოდგინების ნაკლებობის გამოჩენა ეჭვქვეშ დააყენებს საგამოძიებო ძალისხმევის კეთილსინდისიერებას ასევე, საჩივრების დროში გაწელვას (იხ. *Paul and Audrey Edwards*, ციტირებული ზემოთ, § 86).

195. მიუხედავად იმისა, რომ აღიარებს საქმის უდავო სირთულეს ჩართულ მსხვერპლთა რაოდენობის გამო, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მხოლოდ ხუთი ბრალდებული იყო და რომ ექსპერტთა ანგარიშები მიუთითებდა დეფექტების და სხვა ფაქტორების შესახებ, რომლებმაც გამოიწვიეს სადავო შენობების ჩაამონგრევა ასევე შესაბამისი პასუხისმგებლობები. ეს ანგარიშები მომზადებული იყო ძალიან სწრაფად, 1999 წლის აგვისტოში და 2000 წელს ოქტომბერში. ამასთან იგი აღნიშნავს, რომ შემდგომი მოთხოვნა ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, რომელიც გაცემული იქნა 2001 წლის 3 მაისს ასიზის სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა 2004 წლის 5 ივლისამდე, ანუ თითქმის სამი წლის და ორი თვის შემდეგ.

196. მიუხედავად იმისა თუ რა იდგა რისკის წინაშე წინამდებარე საქმეში ჩატარებული გამოძიების დროს, პასუხისმგებლობების განსაზღვრის თვალსაზრისით, გარემოებებმა რომლებშიც აღნიშნული შენობები აღიმართა და მათი ჩამონგრევის მიზეზებმა ბიძგი მისცეს ეროვნულ ხელისუფლებას, რომ სწრაფად განეხილა საკითხი იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა რაიმე სახის შეთქმულება ან ტოლერანტობა უკანონო ქმედებების მიმართ.

197. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს დაბრკოლებები ან სირთულეები, რომლებიც ხელს უშლიან წინსვლას კონკრეტულ სიტუაციაში, ხელისუფლების სწრაფი რეაგირება საციცოხლო მნიშვნელობისაა საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად (იხ. *Šilih v. Slovenia*, § 195). წინამდებარე საქმეში, სტრასბურგის სასამართლოს შეუძლია მხოლოდ აღნიშნოს, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა არღვევს საქმის დაუყონებლივი განხილვის მოთხოვნას, ყოველგვარი ზედმეტი შეფერხების გარეშე. სისხლის სამართლის საქმისწარმოება ჩატარდა ისე, რომ ბრალდებულთაგან მხოლოდ ორი გამოცხადდა ქმედებებზე პასუხისმგებლად, დანარჩენმა სამმა კი ისარგებლა ხანდაზმულობის ვადის გასვლით.

198. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებით მან უკვე აღიარა, რომ საჯარო თანამდებობების პირებისთვის ბრალის წაყენების მარცხი იმის გამო, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უარი განაცხადეს ამგვარი ქმედების ავტორიზაციაზე, წარმოადგენდა კონვენციის მე-2 მუხლის განსახილველ

საკითხს (იხ. მაგ. *Asiye Genç v. Turkey*, no. 24109/07, § 83, 27 January 2015). წინამდებარე საქმეში, იგი აღნიშნავს ზოგიერთი მომჩივნის მარცხის მცდელობებზე იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპეტენტურ ორგანოებს გამოეცათ ბრძანება საჯარო მოხელეების სისხლისსამართლებრივი გამოძიების დაწყებისათვის. ამასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ წინსწარი ადმინისტრაციული ნებართვის არარსებობის გამო არ დაწყებულა სისხლის სამართლის გამოძიება საჯარო მოხელეების წინააღმდეგ, რომელთა ხარვეზები და მარცხები ჩამონგრეული შენობების ზედამხედველობასა და შემოწმებაში (როგორც ეს აღინიშნა ექსპერტის კვლევაში და დარეგისტრირდა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ) სხვაგვარად შეიძლებოდა დადგენილიყო.

199. რაც შეეხება მომჩივნების შესაძლებლობას აღეძრათ სარჩელი იმ პირების წინააღმდეგ რომლებიც მონაწილეობდნენ ჩამონგრეული შენობების მშენებლობაში, სტრასბურგის სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება დაკმაყოფილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეროვნული კანონმდებლობა ეფექტურია პრაქტიკაში (იხ. *Calvelli and Ciglio v. Italy* [GC],no. 32967/96,§ 53, ECHR 2002-I, და *Byrzykowski v. Poland*, no. 11562/05,§117, 27 June 2006). თუმცა, წინამდებარე საქმეში, ევროპულ სასამართლოს შეუძლია მხოლოდ აღნიშნოს, რომ ის მომჩივნები რომლებმაც სცადეს სამოქალაქო კომპენსაციის საშუალებების გამოყენება, სამოქალაქო სასამართლოებს უნდა დალოდებლდნენ რვიდან თორმეტ წლამდე რათა ამ უკანასკნელებს გამოეტანათ გადაწყვეტილებები. სტრასბურგის სასამართლო ხაზს უსვამს მომჩივნებისთვის მინიჭებული თანხების მოკრძალებულობას, მათი ახლობლების დაკარგვით გამოწვეული არამატერიალური ზიანის გამო, ასეთ საკითხებზე საკუთარი პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ის ასკვნის, რომ წინამდებარე საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სამოქალაქო კომპენსაციის საშუალება არ ყოფილა ეფექტური სამართლებრივი საშუალება და შესაბამისად უარყოფს მთავრობის წინასწარ პროტესტს ამასთან დაკავშირებით.

200. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო ადგენს რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილი.

კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

201. მომჩივნები დავობდნენ, რომ სამართალწარმოება იყო უსამართლო და რომ მათ ვერ ისარგებლეს დაცვის ეფექტური საშუალებით იმისათვის, რომ მიეღოთ ზიანის ანაზღაურება. ისინი ეყრდნობოდნენ კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლებს.

ბოლოს, მომჩივნებმა მიიჩნიეს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას.

202. მთავრობამ გააპროტესტა მომჩივანთა ბრალდებები.

203. კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის აღმოჩენის გათვალისწინებით (იხ. პარ. 200, ზემოთ), სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მან შეისწავლა წინამდებარე საქმეში წარმოშობილი მთავარი სამართლებრივი საკითხი. საქმის ფაქტებისა და მხარეთა განცხადებების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არის საჭირო საქმე ცალკე იქნეს განხილული მე-6 და მე-13 მუხლების ან 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის ფარგლებში (იხ. მსგავსი მიდგომით, *Kamil Uzun v. Turkey*, no. 37410/97, § 64, 10 May 2007).